ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის #126/2013 დადგენილების მეხუთე და მეექვსე მუხლების თანახმად, „საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება პრეტენდენტ/ებ/ის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით. შემაჯამებელი ოქმი ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე მისი შედგენის მომდევნო სამუშაო დღეს. შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები იმავე კომისაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს შესაბამისი ფაკულტეტის კანცელარიაში. კომისია საჩივრებს განიხილავს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში და საბოლოო შედეგებს შემაჯამებელი ოქმის სახით უგზავნისდასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს.

კომისიის მიერ საჩივრის განხილვის პროცესში მონაწილეობს საჩივრის წარმდგენი პირი (პრეტენდენტი) და ის დაინტერესებული პირები (პრეტენდენტები), რომელთა კანონიერ ინტესებზე შესაძლოა პირდაპირი და უშაულო გავლენა მოახდინოს საჩივრის განხილვის შედეგებმა“.